შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. N68ბ

LLC EAST- WEST UNIVERSITY
68B Dimitri Uznadze St.,
Tbilisi, 0102, Georgia

www.eastwest.edu.ge
(+995 32) 15 71 72
info@eastwest.edu.ge

პრეზიდენტის ბრძანება № 01-164

ქ. თბილისი 2025 წლის 08 დეკემბერი

შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლაში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 34-ე მუხლს, 35-ე მუხლის 1-5 პუნქტების, შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-11 ბრძანებით დამტკიცებული შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის“ დებულებისა და შპს ,,აღმოსავლეთ -დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული ,,აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის“ , შპს “აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის“ წესდების 5.2 პუნქტის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის 2025 წლის 4 დეკემბრის ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის საბჭოს N0002 სხდომის ოქმის, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 დეკემბრის N 03/25 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი 2025 წლის 9 დეკემბრიდან აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლაში, ინგლისურენოვან პროგრამებზე ინგლისურენოვანი სწავლებისთვის სულ 43 (ორმოცდასამი) საშტატო ერთეულზე:

   ა) პროფესორი - 7 (შვიდი) საშტატო ერთეული;
   ბ) ასოცირებული პროფესორი - 14 (თოთხმეტი) საშტატო ერთეული;
   გ) ასისტენტ-პროფესორი - 22 (ოცდაორი) საშტატო ერთეული.

1.1 მიმართულება - ბიზნესის/მენეჯმენტი

ა) აკადემიური თანამდებობა – პროფესორი:
მიმართულება – ეკონომიკა, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – ფინანსები, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მენეჯმენტი, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მარკეტინგი, 1 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – ჯანდაცვის მენეჯმენტი/პოლიტიკა, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
სულ: პროფესორის 6 (ექვსი) საშტატო ერთეული.

ბ) აკადემიური თანამდებობა – ასოცირებული პროფესორი:

მიმართულება – ეკონომიკა, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – ფინანსები, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მენეჯმენტი, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მარკეტინგი, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – სტატისტიკა, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – ჯანდაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკა, 3 (სამი) საშტატო ერთეული;
სულ: ასოცირებული პროფესორის 12 (თორმეტი) საშტატო ერთეული.

გ) აკადემიური თანამდებობა – ასისტენტ-პროფესორი:
მიმართულება – ეკონომიკა, 3 (სამი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – ფინანსები, 3 (სამი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მენეჯმენტი, 3 (სამი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მარკეტინგი, 3 (სამი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – სტატისტიკა, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
მიმართულება – ჯანდაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკა, 3 (სამი) საშტატო ერთეული;
სულ: ასისტენტ-პროფესორის 19 (ცხრამეტი) საშტატო ერთეული.

1.2 მიმართულება - ტექნოლოგიები

ა) აკადემიური თანამდებობა – პროფესორი:
მიმართულება – კომპიუტერული მეცნიერებები და ხელოვნური ინტელექტი, 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
სულ: პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული.

ბ) აკადემიური თანამდებობა – ასოცირებული პროფესორი:
მიმართულება – კომპიუტერული მეცნიერებები და ხელოვნური ინტელექტი, 2 (ორი) საშტატო ერთეული;
სულ: ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) საშტატო ერთეული.

გ) აკადემიური თანამდებობა – ასისტენტ-პროფესორი:
მიმართულება – კომპიუტერული მეცნიერებები და ხელოვნური ინტელექტი, 3 (სამი) საშტატო ერთეული;
სულ: ასისტენტ-პროფესორის 3 (სამი) საშტატო ერთეული.

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა წარმოადგინოს ელექტრონულად შემდეგი სახის დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;
ბ)CV (რეზიუმე), სადაც მითითებული იქნება გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

გ)აკადემიური ხარისხის (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი ან მათთან გათანაბრებული) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ)სასწავლო კურსის სილაბუსი ან სილაბუსის გეგმა;
ე)ცნობა სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
ვ)ლექციების ინგლისურ ენაზე წაკითხვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ზ)შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ და ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ “ **(წინამდებარე პუნქტში მოხსენიებული ცნობების წარდგენა სავალდებულოა კონკურსის მეორე ეტაპზე გადასავლის შემთხვევაში);**

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დასაკმაყოფილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს შემდეგნაირად:

4.1 პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად 5 (ხუთი) წლის ვადით კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
4.2 ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად 5 (ხუთი) წლის ვადით კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
4.3 ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად 4 (ოთხი) წლის ვადით კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
4.4 წინამდებარე პუნქტის 4.1 - 4.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა აქვთ პროფესიული ნიშნით კვალიფიციურ კანდიდატებს. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განაცხადების შეფასება მოხდეს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ.
6. მიენიჭის უფლება საკონკურსო კომისიას კონკურსის მსვლელობისას, ერთობლივი გადაწყვეტილებით, პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობებზე შეირჩეს დარგის /მიმართულების მიხედვით, მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილების მქონე კანდიდატი(ები).
7. საკონკურსო განცხადება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, https://eastwest.edu.ge და www.jobs.ge-ზე.
8. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურში ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: HR@eastwest.edu.ge.

9. კონკურსანტთა მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტები დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მხოლოდ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული მიზნობრიობით.
10. საკონკურსო დოკუმენტების მიღება შეწყდეს 2026 წლის 12 იანვრის დილის 10 საათზე.
11. **კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:**

    პირველი ეტაპი - საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა დოკუმენტაციის შესწავლა-პირველადი შეფასება (2026 წლის 12 – 14 იანვარი);

    მეორე ეტაპი - დოკუმენტაციის შედეგად შერჩეულ კონკურსანტებთან გასაუბრება (2026 წლის 16 – 23 იანვარი);

    მესამე ეტაპი - საბოლოო გადაწყვეტილების მიღება (2026 წლის 26 იანვარი), უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით აკადემიურ თანამდებობაზე განწესება 2026 წლის 26 იანვარი.
12. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2026 წლის 27 იანვარს, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://eastwest.edu.ge.
13. დაევალოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს, ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.
14. დაევალოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე
15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

გიორგი ხუროძე,

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი